

პროგრამის დასახელება: ფიზიკური გეოგრაფია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრი
სპეციალობა: ფიზიკური გეოგრაფია

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი: გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი ლია მაჭავარიანი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) პროგრამის მიზანი: ფიზიკური გეოგრაფია უშუალოდაა დაკავშირებული იმ მუდმივ, სწრაფ, ინტენსიურ ცვლილებებთან, რომელსაც ადგილი აქვს ბუნებრივ გარემოში ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე; მ.შ. გლობალურ ჰავის ცვლილებასთან და ბუნებრივი გარემოს კრიზისთან. შესაბამისად, საბუნებისმეტყველო გეოგრაფიული განათლების მიზანს წარმოადგენს: ბუნებრივი სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სივრცე-დროითი ასპექტებისა და შესაბამისი სწრაფცვალებადი გარემოს შესწავლა.

აქედან გამომდინარე, საბუნებისმეტყველო გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამების ამოცანას წარმოადგენს იმ ახალგაზრდების განათლება და მომზადება, რომლებიც მოახდენენ ბუნებაში მიმდინარე პროცესების სივრცე-დროით ანალიზს და მის საფუძველზე ისეთი დასკვნების მომზადებას, რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო/საზოგადოებრივი/ბიზნეს-ორგანიზაციების მართვას და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას.

პროგრამის სტრუქტურა ძირითადი სპეციალობის (**major**) გარდა დამატებითი სპეციალობის (**minor**) ათვისების შესაძლებლობას იძლევა.

ბ) სწავლის შედეგები: საბაკალავრო პროგრამა, თავისი ფორმითა და შინაარსით მიესადაგება ბერგენის კონფერენციის მოთხოვნებს, რომლის თანახმად სწავლების პირველ საფეხურზე მსმენელებმა ისეთი ცოდნა უნდა მიიღონ, რომელიც საშუალებას მისცემს მათ უმტკივნეულოდ შეარჩიონ სწავლის გაგრძელების სასურველი მიმართულება საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხურზე. შერჩეული დისციპლინები ვერ ამოწურავენ თანამედროვე გეოგრაფიის ყველა მიმართულებას, მაგრამ მიღებული ცოდნა ის საფუძველია, რომელიც კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს განსაზღვროს, თუ როგორ უნდა მოიპოვოს მისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია გეოგრაფიის ამა თუ იმ სფეროდან, მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ და საერთაშორისო ეკოლოგიური ხასიათის კონკრეტულ პროექტებში.

დარგობრივი კომპეტენციები

დარგის ცოდნა და გაცნობიერება

- აცნობიერებს დედამიწაზე არსებული სისტემების განვითარების ძირითად თავისებურებებს, მათ ფარგლებში მიმდინარე პროცესებს, მათ ისტორიასა და მატერიალურ საფუძველს
- აღიქვამს და ესმის დედამიწაზე მიმდინარე პროცესები და პლანეტაზე მათი გავლენის შედეგები სივრცესა და დროში
- აცნობიერებს გლობალურ დონეზე ფიზიკურ-გეოგრაფიული/ბუნებრივი და/ან სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს
- აცნობიერებს ურთიერთდამოკიდებულებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შორის და შეუძლია მისი შედეგების შემოწმება
- აკვირდება ბუნებრივ გარემოს და აღიქვამს მასში მიმდინარე პროცესებს
- აღიქვამს და განმარტავს რეგიონების, ადგილებისა და მდებარეობის მრავალფეროვნებასა და ურთიერთდამოკიდებულებას
- აცნობიერებს სხვადასხვა დონის სივრცობრივ კავშირებს
- შეიძენს სხვა დისციპლინების მრავალფეროვანი მიდგომების ცოდნას, შეუძლია მათი

გაგება და გამოყენება გეოგრაფიულ კონტექსტში

დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

- მოიძიებს დამოუკიდებლად ზოგადი გეოგრაფიული მეცნიერებების მასალას (მათ შორის ინტერნეტის საშუალებით და სხვა სახის პირობებში), აგროვებს, განაზოგადებს, ამუშავებს, აანალიზებს, აფასებს, ახდენს მის დოკუმენტირებას და შედეგების მოხსენებას
- შეუძლია სივრცეში ორიენტაცია სხვა მუშაობის დროს ტოპოგრაფიული რუკებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით
- განსაზღვრავს გეოგრაფიული მეცნიერებების გამოყენების შესაძლებლობებს, მათ როლს საზოგადოებაში და პასუხისმგებლობას
- იყენებს რიცხობრივ, სტატისტიკურ და კარტოგრაფიულ მეთოდებს საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას
- მსჯელობს ზოგად სივრცით და/ან დროით კონტექსტში
- შეუძლია კარტოგრაფიული მასალის წაკითხვა და ინტერპრეტაცია
- იყენებს ველზე მუშაობის წესებს, უსაფრთხოების ზომების ჩათვლით
- გააჩნია გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საფუძვლების ცოდნა
- სწორედ იყენებს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას

ზოგადი / ტრანსფერული კომპეტენციები

- შეუძლია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება
- შეუძლია სწავლა და ცოდნის მუდმივი განახლება
- დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება
- შეუძლია მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია
- შეუძლია დროის დაგეგმვა და მართვა დასახული მიზნის მისაღწევად
- შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა
- შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი და მონაცემების ინტერპრეტაცია
- იცნობს და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს
- შეუძლია დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების პასუხისმგებლობით შესრულება
- შეუძლია დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება
- შეუძლია ჯგუფში მუშაობა

გ) დასაქმების სფეროები:

მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად საბუნებისმეტყველო გეოგრაფები შეიძლება დასაქმდნენ როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებში, ისე სხვადასხვა დონის (ცენტრალური, ადგილობრივი) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, არასამთავრობო და კერძო სექტორებში. უფრო კონკრეტულად გეოგრაფების დასაქმების სფეროებია: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, თავდაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების შესაბამის უწყებები, საქალაქო და ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურები, მიწის მართვის სისტემა, ჰიდრომეტეოროლოგიური და ნაპირდაცვის სამსახურები, ამინდის პროგნოზისა და სხვადასხვა ტიპის მონიტორინგის სამსახურები, ტურისტული სააგენტოები, საერთაშორისო დარგობრივი საგრანტო პროექტები, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოები და კომპანიები, სატრანსპორტო ორგანიზაციები, საკონსულტაციო კომპანიები, მას-მედიის, ასევე ყველა სხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები, სადაც საჭიროა გეოინფორმაციული სისტემები და კარტოგრაფიული ვიზუალიზაცია.

სამეცნიერო კუთხით სტუდენტს საშუალება ექნება სწავლა გააგრძელოს სწავლების მაღალ საფეხურებზე – სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე, ჩაერთოს ფაკულტეტზე ან სხვაგან არსებულ კვლევით პროექტში და ა.შ.

წინამდებარე დოკუმენტი შეეხება პირველი საფეხურის კვალიფიკაციას, რომელიც იძლევა ზოგად ცოდნას გეოგრაფიაში ბუნების სივრცე-დროითი ასპექტების შესახებ, რაც სტუდენტის ფართო კომპეტენციით მომზადებას ნიშნავს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება თსუ II აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ბიბლიოთეკები, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულებაზე მომქმედი სასწავლო ლაბორატორიები (ჰოდრომეტეოროლოგიის, ჰიდროტექნიკისა და ოკეანოლოგიის, ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის, მარტყოფის გეოგრაფიული ლაბორატორიები) და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი რესურსცენტრი სტუდენტებს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემს. გარდა ამისა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ელ-ფოსტა, რომლის მეშვეობით მათ ექნებათ მჭიდრო კავშირი ლექტორებსა და სტუდენტთა ჯგუფის ხელმძღვანელებთან. სპეციალური სასწავლო პრაქტიკისათვის გამოყენებული იქნება ზემოდ აღნიშნული ლაბორატორიები.

საბაკალავრო სასწავლო კურიკულუმის განხორციელებისას საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება იმ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა რესურსები, რომლებთანაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი: ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, სატყეო ინსტიტუტი, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, დაცულ ტერიტორიათა სააგენტო და სხვ.

საუნივერსიტეტო კურსები / მოდულები (10 ECTS)						
კოდი	საგნის/მოდულის სახელწოდება	ECTS კრედიტი	საკონტაქტო / დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/გაზაფხულის)	ლექტორი/ლექტორები
	უცხო ენა-1	5	60/65		გაზაფხული	
	უცხო ენა-2	5	60/65		შემოდგომა	
საფაკულტეტო კურსები / მოდულები (30 ECTS)						
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები (10 ECTS)						
	კალკულუსი	5	60/65		შემოდგომის	
	კომპიუტერული უნარ-ჩვევები	5	60/65		შემოდგომის	
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები / მოდულები (20 ECTS)						
	გეოგრაფიის საფუძვლები	5	60/65		შემოდგომა	ნ. ელიზბარაშვილი
	გეოლოგიის საფუძვლები	5	60/65		შემოდგომა	
	ბიოლოგიის საფუძვლები	5	60/65		შემოდგომა	
	ფიზიკის საფუძვლები	5	60/65		შემოდგომა	
	ქიმიის საფუძვლები	5	60/65		შემოდგომა	
	დაპროგრამების საფუძვლები	5	60/65		შემოდგომა	
	ელექტრონული ინჟინერიის საფუძვლები	5	60/65		შემოდგომა	
	წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია	5	60/65		შემოდგომა	
სპეციალობის (სპეციალიზაციის) სავალდებულო კურსები / მოდულები						
	დედამიწის მცოდნეობა	5	45/80		გაზაფხულის	ც. დონაძე
	გეომორფოლოგია	5	45/80		გაზაფხულის	შ. ცხოვრებაშვილი
	მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია	5	45/80		გაზაფხულის	ლ. ლალიძე
	ნიადაგთმცოდნეობა	5	45/80		გაზაფხულის	თ. ურუშაძე
	კარტოგრაფია	5	60/65		გაზაფხულის	თ. გორდენიანი
	გეონფორმატიკა	5	60/65		შემოდგომის	ო. დემეტრაშვილი
	ჰიდროლოგია	5	45/80		შემოდგომის	დ. კერესელიძე
	გეოგრაფიის კვლევის მეთოდები	5	45/80		შემოდგომის	დ. ნიკოლაიშვილი
	ლანდშაფტმცოდნეობა	5	45/80		გაზაფხულის	ე. დავითაია
	ოკეანოლოგია	5	45/80		გაზაფხულის	დ. კერესელიძე

	საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია	5	45/80		გაზაფხულის	ზ. სეფერთელაძე
	საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია	5	45/80		გაზაფხულის	გ. მელაძე
	მსოფლიოს ფიზიკური გეოგრაფია	5	45/80		შემოდგომის	ზ. სეფერთელაძე
	მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია	5	45/80		შემოდგომის	გ. მელაძე
	ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგი	5	45/80		შემოდგომის	მ. ალავერდაშვილი
	საქართველოს გეომორფოლოგია	5	45/80		გაზაფხულის	რ. გობეჯიშვილი
	ნიადაგების გეოგრაფია	5	45/80		გაზაფხულის	ბ. კალანდაძე
	სასწავლო-საველე პრაქტიკა გეოგრაფიაში	5	-		გაზაფხულის	გ. დვალაშვილი, ვ. ტრაპაიძე, გ. მელაძე, ე. დავითაია
სპეციალობის (სპეციალიზაციის) არჩევითი კურსები / მოდულები						
	ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია	5	45/80		გაზაფხული	ე. დავითაია
	ბუნებრივი გარემოს ტრანსფორმაცია	5	45/80			თ. ალექსიძე
	მიწის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზა	5	45/80		გაზაფხული	თ. ურუშაძე
	რეგიონული გეოგრაფია	5	45/80		შემოდგომა	ლ. მაჭავარიანი
	მიკროპედოლოგია	5	60/65		გაზაფხული	ლ. მაჭავარიანი
	კავკასიის ბუნებრივი რესურსები	5	45/80		გაზაფხული	დ. ნიკოლაიშვილი
	გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები-1	5	60/65		შემოდგომა	დ. ნიკოლაიშვილი
	გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები-2	5	60/65	გის-1	გაზაფხული	დ. ნიკოლაიშვილი
	გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები-3	5	60/65	გის-2	შემოდგომა	დ. ნიკოლაიშვილი
	გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები-4	5	60/65	გის-3	გაზაფხული	დ. ნიკოლაიშვილი
	გამოყენებითი გეოგრაფია	5	45/80		გაზაფხული	ნ. ელიზბარაშვილი
	საქართველო მსოფლიო ფონზე	5	45/80		შემოდგომა	ლ. მაჭავარიანი
	მოსახლეობის გეოგრაფია-დემოგრაფიის საფუძვლებით	5	45/80		გაზაფხული	გ. მელაძე
	აეროკოსმოსური მეთოდები გეოგრაფიაში	5	45/80		გაზაფხული	თ. გორდეზიანი
	თემატური და ატლასური კარტოგრაფია	5	45/80		შემოდგომა	გ. ლიპარტელიანი
	საქართველოს სტიქიური პროცესები	5	45/80		გაზაფხული	ე. წერეთელი

გამოყენებითი გეომორფოლოგია	5	45/80		შემოდგომა	გ. დვალაშვილი
გლაციოლოგია	5	45/80		გაზაფხული	რ. გობეჯიშვილი
რუკათმცოდნეობა	5	45/80		გაზაფხული	თ. გორდეზიანი
კლიმატური რესურსები	5	45/80		გაზაფხული	ლ. ლალიძე
წყლის რესურსები	5	45/80		შემოდგომა	ვ. ტრაპაიძე
ჰიდროსფეროს სტიქიური მოვლენები	5	45/80		გაზაფხული	ვ. ტრაპაიძე
ატმოსფეროს სტიქიური მოვლენები	5	45/80		შემოდგომა	მ. ელიზბარაშვილი
რეგიონალური ოკენოგრაფია	5	45/80		გაზაფხული	კ. ბილაშვილი
საბაკალავრო ნაშრომი					
საბაკალავრო ნაშრომი (სურვილისამებრ)	10			გაზაფხულის	